

შ.პ.ს. „ტელეარხი 25“-ის თვითრეგულირების კომისიის გადაწყვეტილება  
მოქალაქე ზვიად ქორიძის საჩივართან დაკავშირებით.

ქ. ბათუმი

10.04.2011

აღწერილობითი ნაწილი

2012 წლის 19 მარტს მოქალაქე ზვიად ქორიძემ „ტელეარხი 25“-ის თვითრეგულირების ორგანოს მიმართა საჩივრით, სადაც მიუთითებდა, რომ სამაუწყებლო კომპანია „25-ე არხის“ ეთერში 2012 წლის 9 მარტს, 00 საათზე გადაიცემოდა ინტერნეტ ტელევიზია „ობიექტივის“ საავტორო გადაცემა „ლამის სტუდია“, რომლის წამყვანი იყო ჟურნალისტი ირმა ინაშვილი და გადაცემის სტუმარი იყო სოსო მანჯავიძე. გადაცემა ეძღვნებოდა ქ. ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხს და ქ. ბათუმში, „პრესკაფეში“ ამავე თემაზე გამართულ დისკუსიას. ზვიად ქორიძე საჩივარში აღნიშნავდა, რომ გადაცემაში ის არაერთხელ მოიხსენიეს, როგორც ამ დისკუსიის ორგანიზატორი. ზვიად ქორიძე საჩივარში ასევე მიუთითებდა, რომ გადაცემის წამყვანმა, ირმა ინაშვილმა, ასევე გადაცემაში მოწვეულმა სტუმარმა, სოსო მანჯავიძემ კონტექსტის დარღვევით მოახდინეს მისი მოსაზრებების ციტირება და მათი არასწორად ინტერპრეტირება, რასაც შემდგომში მოყვა შეურაცხმყოფელი შეფასებები.

ზვიად ქორიძე ასევე აღნიშნავდა, რომ გადაცემის წამყვანი იყო მიკერძოებული და სუბიექტურობა ჩანდა სატელეფონი ზარების ეთერში შესვლის დროს, როდესაც ირმა ინაშვილი არათუ ემიჯნებოდა მაყურებლის სუბიექტურ პოზიციას, არამედ საკუთარი შეფასებებით ეთანხმებოდა და ამბავრებდა უარყოფით მუხტს.

საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-6 მუხლის თანახმად, ის იყო დაინტერესებული პირი და ითხოვდა, რომ ტელეკომპანია „25-ე არხს“ საკუთარ ეთერში, იმავე საეთერო დროს დროს გაეშვა უარყოფის განცხადება. ზვიად ქორიძის აზრით, ინტერნეტ ტელევიზია „ობიექტივის“ გადაცემით დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-17 მუხლით დადგენილი სტანდარტი, რაც გულისხმობს შემდეგი სახის დარღვევებს:



1. საზოგადოებას არ მიეწოდა მოსაზრებათა ფართო სპექტრი.
2. მოხდა მოსაზრებების არასწორი ინტერპრეტირება.
3. საავტორო პროგრამის წამყვანი გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებას, რითაც მან ხელყო პროგრამის მიუკერძოებლობა.

## სამოტივაციო ნაწილი


საჩივარი შემოტანილია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ ვადაში. არსებობს სრული საფუძველი, რომ ზვიად ქორიძე ჩაითვალოს დაინტერესებულ პირად. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, კომისიამ დასაშვებად მიიჩნია საჩივარი.

საჩივრის განხილვის პროცესში კომისიამ რამდენჯერმე ნახა საავტორო გადაცემა „ლამის სტუდიის“ 2012 წლის 9 მარტის გადაცემის ჩანაწერი და ასევე გაეცნო მედიაკავშირი „ობიექტივის“ მიერ წარმოდგენილ აუდიო ჩანაწერს. კომისიამ საჩივრის განხილვის სხდომაზე მოისმინა საჩივრის ავტორის, ბატონი ზვიად ქორიძის ახსნა-განმარტება და ასევე კომისიის სხდომაზე მოწმის სახით მოწვეული ქალბატონ ირმა ინაშვილის ახსნა-განმარტება.

კომისია მიიჩნევს, რომ გადაცემაში ნამდვილად გავრცელდა არასწორი ინფორმაცია „პრესკაფეში“ გამართულ შეხვედრაში ზვიად ქორიძის მონაწილეობის სტატუსის შესახებ.

წამყვანმა, ქალბატონი ირმა ინაშვილმა, გადაცემის დასაწყისში განაცხადა (ციტატა მისი გამოსლიდან): „მე ვთქვი, რომ გააქტიურდა ხელისუფლება, რას ვგულისმობ გააქტიურებაში: 4 მარტს იყო წირვა, 4 მარტს შედგა „ობიექტივის“ შეხვედრა საზოგადოებასთან. სულ რაღაც სამი დღის შემდეგ იმართება შეხვედრა ბათუმის „პრესკაფეში“. საკმაოდ გახმაურებული შეხვედრა იყო. ამ შეხვედრის შემდეგ დაგვიკავშირდა აღშფოთებული ბათუმელები, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ბატონი ზვიად ქორიძე და ბათუმის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები (ამ ორგანიზაციის სახელი ვერ გაიხსენა), მართავდნენ შეხვედრას, დისკუსიას, რომლის ფარგლებში იხილებოდა ახალი მეჩეთი და გამოწვევები საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობები ძალზედ ააღელვა ბათუმის საზოგადოება.

შესწავლილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ზვიად ქორიძე არ არის დისკუსიის ორგანიზატორი. ის იყო მხოლოდ მიწვეული ფასილ შესაბამისად მისი შეხვედრის ჩამტარებლად მოხსენიება არ ? სინამდვილეს.



კომისიამ მიიჩნია, რომ ქალბატონმა ირმა ინაშვილმა 2012 წლის 9 მარტს გადაცემაში „ღამის სტუდია“ გაავრცელა მცდარი ინფორმაცია, როდესაც ზვიად ქორიძე მოიხსენია შეხვედრის ჩამტარებლად. გადაცემის წამყვანი ასევე მიუთითებდა, რომ ამ დისკუსიის ჩატარება იყო ხელისუფლების გააქტიურების შედეგი, ხოლო შეხვედრის ჩამტარებელი იყო ზვიად ქორიძე და ერთ ერთი ბათუმური არასამთავრობო ორგანიზაცია.

გადაცემის ამ ნაწილში დაირღვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით მიღებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი, კერძოდ: მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის პრინციპი.

გადაცემა „ღამის სტუდიის“ წამყვანმა ირმა ინაშვილმა და გადაცემაში მოწვეულმა სტუმარმა, სოსო მანჯავიძემ 9 მარტის გადაცემაში ასევე წაიკითხეს ციტატები ზვიად ქორიძესთან მომზადებული (სამ გვერდიანი) ინტერვიუდან (ინტერვიუ გამოქვეყნებულია გაზეთში „ბათუმელები“ და ინტერნეტ გამოცემაში „ნეტგაზეთი“). გადაცემის წამყვანმა და სტუმარმა წაიკითხეს მხოლოდ რამდენიმე ციტატა და მოახდინეს მისი სუბიექტური შეფასება, აღნიშნულით კომისია მიიჩნევს, რომ მაყურებლისათვის ვერ იქნებოდა სრულად გასაგები, თუ რა მოსაზრებებს ავრცელდება ინტერვიუში ზვიად ქორიძე. რითაც დარღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი: თავიდან უნდა იქნას აცილებული ფაქტების დამახინჯება და განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება.

აღსანიშნავია, რომ მედიაკავშირ „ობიექტივის“ წარმომადგენლებმა სცადეს მათგან განსხვავებული აზრის მქონე პიროვნებისაგან (ამ შემთხვევაში ზვიად ქორიძისაგან) კომენტარის მოპოვება განსახილველ თემასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება შეფასდეს გადაცემაში მოსაზრებათა ფართო სპექტრის მიწოდების მცდელობად. „ობიექტივის“ წარმომადგენლების მიერ ჩვენთვის მოწოდებული სატელეფონო საუბრიდან ირკვევა, რომ ზვიად ქორიძემ უარი უთხრა „ობიექტივის“ ჟურნალისტს კომენტარის მიცემაზე. მიუხედავად ამისა, კომისიას მიაჩნია, რომ „ობიექტივის“ წარმომადგენლებს შეეძლოთ სხვა განსხვავებული აზრის მქონე რესპოდენტთან დაკავშირება, მისი მოწვევა პირდაპირ ეთერში, ან მისგან კომენტარის მიღება. მიგვაჩნია, რომ გადაცემაში „ღამის სტუდია“ წამყვანიც და სტუმარიც გამოხატავდა ერთსა და იმავე პოზიციას და არ იყო წარმოდგენილი განსხვავებული აზრი. კომისიის თვლის, რომ ნაწილობრივ დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის პრინციპი: საავტორო გადაცემის მომზადების დროს აუდიტორიას უნდა მიეწოდოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი და თავიდან უნდა იქნას აცილებული განსხვავებული აზრის სხვაგვარი ინტერპრეტაცია.



გადაცემის წამყვანი, ქალბატონი ირმა ინაშვილი იყენებდა წამყვანის მდგომარეობას და გამოხატავდა სუბიექტურ პოზიციას, რაც ვლინდება, როგორც გადაცემაში მოწვეულ სტუმართან საუბრის დროს, ასევე მაცურებელთა მიერ გამოხატული მოსაზრებების შეფასებისას.

გადაცემის წამყვანის ამ მოქმედებით დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად: საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ მიღებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს.

საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი არის – ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ტელე ან რადიოპროგრამების გავრცელებას. საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად: დამოუკიდებელი პროგრამა ეს არის – პროგრამა, რომლის საავტორო უფლებების მფლობელსა და ლიცენზიის მფლობელს შორის არ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება. სწორედ ამგვარ ურთიერთობად შეიძლება ჩაითვალოს „25-ე არხის“ ეთერში მედიაკავშირ „ობიექტივის“ გადაცემა „ღამის სტუდიის“ ტრანსლირება.

საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ, რაც მაუწყებლისათვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის 9 მარტს „ტელეარხი 25“-ის ეთერში გასული გადაცემა „ღამის სტუდია“ არ არის „ტელეარხი 25“-ის მიერ შექმნილი პროდუქტი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესაბამისად „ტელეარხი 25“ არის მაუწყებელი და მას ეკისრება პასუხისმგებლობა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის პრინციპების დაცვის.

შესაბამისად „ტელეარხი 25“-მა უნდა უზრუნველყოს ფაქტობრივი შეცდომების შესწორება. რაც უნდა მოხდეს ღიად თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს.

